ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №181

20 სექტემბერი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული 1406 გ/მ წყალსადენის ქსელის (ჩოხატაური-საჭამიასერის მიმართულება; საკადასტრო კოდი - №28.00.020; №28.00.021) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული 1406 გ/მ წყალსადენის ქსელის ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 ივნისის N143 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 2012 წლის 04 სექტემბრის დასკვნის და ამავე კომისიის 04 სექტემბრის ჩამოწერის აქტის, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის 2012 წლის N01-10/12 19 ივნისის წერილის, ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარების და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი დანართი N2-ის, ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი დანართი N3-ის და ,,დამოუკიდებელი ზოგადი აუდიტორი ავთანდილ ბერიშვილი“-ს 2012 წლის 04 სექტემბრის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩამოიწეროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან 1406 გ/მ წყალსადენის ქსელი (ჩოხატაური-საჭამიასერის მიმართულება; საკადსატრო კოდი - 28.00.020; 28.00.021) ნარჩენი ღირებულებით - 0 ლარი.

2. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი - 39368 (ოცდაცხრამეტი ათას სამას სამოცდარვა კგ.) აყვანილ იქნას მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე ღირებულებით 5089.72 (ხუთიათას ოთხმოცდაცხრა და სამოცდათორმეტი) ლარი.
3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებას (ზურაბ შათირიშვილი) მუნიციპალური ქონების ბუღალტრულ-სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების გატარება
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. N4
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*